

სს მრეწვერკინიგზა

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო
წლისთვის

ფინანსური ანგარიშგებები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	4
სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	6
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	7

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	8
2. მომზადების საფუძველი	8
3. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა	12
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	17
5. ძირითადი საშუალებები	18
6. საინვესტიციო ქონება	19
7. მარაგები	19
8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	19
9. ფული და ფულის ეკვივალენტები	19
10. თანამშრომელთა ანაზღაურება	20
11. გახარჯული ნედლეული და მასალები.....	20
12. სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	20
13. პირობითი აქტივები და პირობითი ვალდებულებები	20
14. ფინანსური ინსტრუმენტები – რისკების მართვა.....	20
15. კაპიტალის მართვა	22
16. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	22
17. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	22

სს მრეწველობა**ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება**

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	1,842,431	1,711,203
საინვესტიციო ქონება	6	9,856,018	9,856,018
სულ გრძელვადიანი აქტივები		11,698,449	11,567,221
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	7	31,819	42,437
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	51,203	42,815
ფული და ფულის ეკვივალენტები	9	735,992	742,203
სულ მიმდინარე აქტივები		819,014	827,455
სულ აქტივები		12,517,463	12,394,676
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი		509,483	509,483
გადაფასების რეზერვი		1,876,983	1,876,983
გაუნაწილებელი მოგება		10,094,925	9,983,167
სულ კაპიტალი		12,481,391	12,369,633
მიმდინარე ვალდებულებები			
საგადასახადო ვალდებულება		33,647	21,930
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		2,425	3,113
სულ მიმდინარე ვალდებულებები		36,072	25,043
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		12,517,463	12,394,676

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით შემდეგი პირების მიერ 2024 წლის 12 აპრილს:

დირექტორი _____ ლაშა ჩხაიძე

მთავარი ბუღალტერი _____ ნანა მიმინოშვილი

სს მრეწვერკინიგზა

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	1,842,431	1,711,203
საინვესტიციო ქონება	6	9,856,018	9,856,018
სულ გრძელვადიანი აქტივები		11,698,449	11,567,221
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	7	31,819	42,437
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	51,203	42,815
ფული და ფულის ეკვივალენტები	9	735,992	742,203
სულ მიმდინარე აქტივები		819,014	827,455
სულ აქტივები		12,517,463	12,394,676
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი		509,483	509,483
გადაფასების რეზერვი		1,876,983	1,876,983
გაუნაწილებელი მოგება		10,094,925	9,983,167
სულ კაპიტალი		12,481,391	12,369,633
მიმდინარე ვალდებულებები			
საგადასახადო ვალდებულება		33,647	21,930
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		2,425	3,113
სულ მიმდინარე ვალდებულებები		36,072	25,043
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		12,517,463	12,394,676

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით შემდეგი პირების მიერ
2024 წლის 12 აპრილს:

დირექტორი



ლაშა ჩხიძე

მთავარი ბუღალტერი



ნანა მიმინოშვილი



სს მრეწველობის განვითარება

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო წლისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2023	2022
შემოსავალი სარკინიგზო-სალიანდაგო მომსახურებიდან		346,418	335,329
შემოსავალი ჯარის რეალიზაციიდან		-	-
შემოსავალი ფართის გაქირავებიდან		43,064	36,144
სხვა შემოსავალი		8,208	8,138
სულ შემოსავალი		397,690	379,611
ზარალი ძირითადი საშუალებების გადაფასებიდან		-	(227,742)
თანამშრომელთა ანაზღაურება	10	(131,558)	(130,826)
გახარებული ნედლეული და მასალები	11	(28,845)	(22,849)
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	12	(75,933)	(64,754)
ცვეთა	5	(62,821)	(53,564)
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		98,533	(120,124)
მოგება საინვესტიციო ქონების გადაფასებიდან		-	3,093,476
წმინდა ფინანსური შემოსავალი		13,421	11,466
წმინდა მოგება სავალუტო ოპერაციებიდან		(196)	(6,155)
წმინდა მოგება		111,758	2,978,663
სხვა სრული შემოსავალი	5	-	481,810
მთლიანი სრული მოგება		111,758	3,460,473

8-22 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს მრეწველკონიგზა**საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება**

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო წლისთვის

(ქართულ ლარში)

	სააქციო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	509,483	1,395,173	7,004,504	8,909,160
სხვა სრული შემოსავალი	-	481,810	-	481,810
წლის მოგება	-	-	2,978,663	2,978,663
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	509,483	1,876,983	9,983,167	12,369,633
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
წლის მოგება	-	-	111,758	111,758
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	509,483	1,876,983	10,094,925	12,481,391

8-22 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს მრეწველობა

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო წლისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2023	2022
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაბეგვრამდე		111,758	2,978,663
კორექტირებები:			
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები	5	62,821	53,564
მოგება საინვესტიციო ქონების გადაფასებიდან	6	-	(3,093,476)
ზარალი საინვესტიციო ქონების ჩამოფასებიდან		-	627
ჩამოწერილი ძირითადი საშუალებები		4,621	-
საპროცენტო შემოსავალი		(13,421)	(11,466)
წმინდა მოგება სავალუტო ოპერაციებიდან		(196)	(6,155)
		165,583	(78,243)
ცვლილება საკუთარ კაპიტალში:			
მარაგები		10,618	2,621
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		(8,388)	(9,629)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		(688)	1,282
საგადასახადო ვალდებულებები		11,717	3,602
ფულადი ნაკადების შემოღინება საოპერაციო საქმიანობიდან		178,842	(80,367)
მიღებული პროცენტი		13,421	11,466
ფულადი ნაკადების წმინდა შემოღინება საოპერაციო საქმიანობიდან		192,263	(68,901)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	5	(198,670)	122,878
ფულადი ნაკადების წმინდა გაღინება საინვესტიციო საქმიანობიდან		(198,670)	122,878
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			-
წმინდა ზრდა ფულსა და ფულის ეკვივალენტებში		(6,407)	53,977
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში		742,203	682,071
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულსა და ფულის ეკვივალენტებში		196	6,155
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს		735,992	742,203

8-22 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს მრეწვერკინიგზა

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო წლისთვის

(ქართულ ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

სს მრეწვერკინიგზა (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა 1996 წლის 21 აგვისტოს, როგორც სააქციო საზოგადოება. ის რეგისტრირებულია საგადასახადო დეპარტამენტის თბილისის ოფისში, საიდენტიფიკაციო კოდით - 208145390.

კომპანიის შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს სარკინიგზო ინფრასტრუქტურით მომსახურება პროდუქციის გადაზიდვისას. კომპანია ძირითადად ემსახურება ნავთობპროდუქტებით მოვაჭრე კომპანიებს.

კომპანიას მართავს პარტნიორთა საერთო კრება, სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორი. კომპანიის უმაღლესი მმართველობითი ორგანოა პარტნიორთა საერთო კრება. სამეთვალყურეო საბჭო განსაზღვრავს ბიზნესპოლიტიკას და ნიშნავს დირექტორს, რომელიც პასუხისმგებელია კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობაზე.

კომპანიის ოფისი მდებარეობს ქალაქ თბილისში, კაიროს ქ. N 36.

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას ფლობდნენ შემდეგი აქციონერები:

აქციონერი	31 დეკემბერი 2023, %	31 დეკემბერი 2022, %
ქეთო ადამია	21.177	21.177
ბუხუტი შენგელია	21.177	21.177
ბესიკი შენგელია	21.177	21.177
პაატა დუშუაშვილი	14.336	14.336
სხვა აქციონერები	22.133	22.133
სულ	100%	100%

2. მომზადების საფუძველი

ანგარიშგების შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასკ) მიერ გამოშვებული ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების და ინტერპრეტაციების (მთლიანად ფასს-ების) შესაბამისად.

კომპანია თავის ბუღალტრულ ჩანაწერებს აწარმოებს და ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ქართულ ლარში. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, თუ სხვაგვარად არაა მითითებული.

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დამფუძნებების გაკეთებას. ის ასევე მოითხოვს კომპანიის მენეჯმენტისგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადანაწევებები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-4 შენიშვნაში.

შეფასების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გარდა საინვესტიციო ქონებისა და ძირითადი საშუალებების შენობა-ნაგებობების ჯგუფისა, რომლებიც აღირიცხება რეალური ღირებულებით.

ფუნქციონირებადი საწარმო

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვებით, რომ კომპანია ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსს შეინარჩუნებს პროგნოზირებად მომავალში, რაც გულისხმობს, რომ კომპანია შეძლებს მომსახურების გაწევას ან აქტივების რეალიზებას და ვალდებულებების დაფარვას ბიზნესის ნორმალურად ფუნქციონირების პროცესში. ამგვარად განსჯისას ხელმძღვანელობამ მხედველობაში მიიღო კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, არსებული განზრახვები, ფინანსურ რესურსებზე წვდომა და გაანალიზა კომპანიის ოპერაციებზე გარე ფაქტორების ზეგავლენა.

სს მრეწველკინიგზა

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო წლისთვის

(ქართულ ლარში)

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

ახალი ფასს-ების მიღება, ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში

ა) 2023 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში შესული სტანდარტები და შესწორებები:

ფასს 17 სადაზღვევო კონტრაქტები. ფასს 17 ნერგავს საერთაშორისო თანმიმდევრულ მიდგომას სადაზღვევო ხელშეკრულების აღრიცხვის მიმართ. ფასს 17-მდე, მთელ მსოფლიოში არსებობდა მნიშვნელოვანი სხვადასხვაობა სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვასა და წარდგენასთან დაკავშირებით, ფასს 4 ნებას რთავდა მრავალ (არა-ფასს) სააღრიცხვო მიდგომას. ფასს 17-ის ძალაში შესვლა გამოიწვევს მნიშვნელოვან ცვლილებებს ბევრი მზღვეველისთვის, რაც გულისხმობს არსებული სისტემებსა და პროცესებში ცვლილების შეტანას.

ახალი სტანდარტის ხედვით, სადაზღვევო ხელშეკრულება მოიცავს ფინანსური ინსტრუმენტის და მომსახურების ხელშეკრულების ელემენტებს, ამასთან გამომუშავებული ფულადი ნაკადების დიდი ნაწილი არსებითად ცვალებადია დროთა განმავლობაში. შედეგად, სტანდარტი აყალიბებს შემდეგ მიდგომებს:

- მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების აღიარება მოგებასა და ზარალში იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ხდება მომსახურების გაწევა ხელშეკრულების თანახმად;
- სადაზღვევო მომსახურების შედეგების (მათ შორის სადაზღვევო შემოსავლის) წარდგენა სადაზღვევო ფინანსური შემოსავლის ან ხარჯებისგან განცალკევებით;
- სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევანი ცალკეული პორტფელის მიმართ სადაზღვევო ფინანსური შემოსავლის ან ხარჯის მთლიანად მოგებასა და ზარალში წარდგენასთან ან ნაწილობრივ სრულ შემოსავალში წარდგენასთან დაკავშირებით.

ფასს 17-ის გამოცემის შემდეგ, სტანდარტში შევიდა შესწორებები და გადავადდა ძალაში შესვლის თარიღი.

სააღრიცხვო პოლიტიკების წარდგენა (შესწორება- ბასს 1 და ფასს პრაქტიკული ანგარიშგება 2) – 2021 წლის თებერვალში, IASB-იმ გამოსცა ბასს 1-ის შესწორება, რომელიც ცვლის სააღრიცხვო პოლიტიკის წარდგენის მოთხოვნებს „მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის“ „არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაციით“. მოცემული შესწორება იძლევა მითითებას იმის შესახებ, როდის არის მოსალოდნელი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია იქნას არსებითად მიჩნეული. აღნიშნული შესწორება ძალაშია იმ ფინანსური ანგარიშგებისთვის, რომელთა საანგარიშგებო პერიოდი იწყება 2023 წლის 1 იანვრიდან. ადრეული გადასვლა ნებადართულია. რადგან ფასს პრაქტიკული ანგარიშგება 2 არ წარმოადგენს სავალდებულო სახელმძღვანელოს, არ მომხდარა სავალდებულო ძალაში შესვლის თარიღის განსაზღვრა ფასს პრაქტიკული ანგარიშგება 2-ის შესწორებასთან მიმართებაში.

სააღრიცხვო შეფასებების განმარტება (ბასს 8-ის შესწორება) – 2021 წლის თებერვალში, IASB-იმ გამოსცა ბასს 8-ის შესწორება, რომელმაც დაამატა სააღრიცხვო შეფასებების განმარტება ბასს 8-ში. შესწორებაში ასევე დაზუსტდა, რომ სააღრიცხვო შეფასებაზე ამოსავალი მონაცემების ან შეფასების მეთოდის ცვლილების გავლენით გამოწვეული შედეგი წარმოადგენს სააღრიცხვო შეფასების ცვლილებას, თუკი მონაცემების ან შეფასების მეთოდის ცვლილება გამოწვეული არ არის წინა პერიოდის შეცდომების გასწორებით

გადავადებული გადასახადი, რომელიც უკავშირდება ერთი ოპერაციიდან წარმოქმნილ აქტივებს და ვალდებულებებს (ბასს 12-ის შესწორება). 2021 წლის მაისში, IASB-იმ გამოსცა ბასს 12-ის შესწორება, რომელიც აკონკრეტებს, ვრცელდება თუ არა თავდაპირველი აღიარების გამონაკლისი გარკვეულ ოპერაციებზე, რომლებიც იწვევს როგორც აქტივის, ასევე ვალდებულების სიმულაციურად აღიარებას (მაგ: იჯარა ფასს 16-ის შესაბამისად). შესწორების შედეგად, ბასს 12.15-ს დაემატა კრიტერიუმი თავდაპირველი აღიარების გამონაკლისთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც გამონაკლისი არ ვრცელდება აქტივების ან ვალდებულების თავდაპირველ აღიარებაზე, რომლებიც წარმოშობს თანაბარი ოდენობის დასაბეგრ და გამოსაქვით დროებით სხვაობებს.

კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით, აღნიშნულ ცვლილებებს არ აქვს არსებითი გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:

სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2024 წლის 1 იანვრიდან

მიმწოდებლის ფინანსური შეთანხმებები (შესწორება ბასს 7-ში და ფასს 7-ში). 2023 წლის მაისში, IASB-იმ გამოუშვა მიმწოდებლის ფინანსური შეთანხმებები, რომელიც წარმოადგენს ბასს 7-ის ფულადი ნაკადების ანგარიშგების და ფასს 7-ის ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნების შესწორებას. აღნიშნული შესწორებები წარმოიშვა IFRS-ის ინტერპრეტაციის კომიტეტისგან მიღებული წარდგენის შედეგად, რომელიც შეეხებოდა ვალდებულებებს და მათთან დაკავშირებულ, მიწოდების ჯაჭვის დაფინანსების შეთანხმებებიდან წარმოშობილ ფულად ნაკადებს და მათ განმარტებით შენიშვნებს. 2020 წლის დეკემბერში, კომიტეტმა გამოაქვეყნა ავგნა გადანაცვეტილება მიწოდების ჯაჭვის დაფინანსების შეთანხმებებთან დაკავშირებით - რევერსული ფაქტორინგი, რომელიც შეეხებოდა აღნიშნულ წარდგენას დაფუძნებულ ფინანსური აღრიცხვის სტანდარტების მოთხოვნებზე, მოცემული პერიოდისთვის. აღნიშნული პროცესის განმავლობაში, დაინტერესებული მხარეების უკუკავშირმა აჩვენა ამ დროისთვის არსებული მოთხოვნების შეზღუდვები, რომელიც უკავშირდება მომხმარებელთა მნიშვნელოვანი ინფორმაციის საჭიროებების დაკმაყოფილებას, რათა გასაგებ იყოს მიწოდების ფინანსური შეთანხმებები საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებებში და შესაძლებელი გახდეს საწარმოების ერთმანეთთან შედარება. ამ უკუკავშირის საპასუხოდ, IASB-იმ შეიმუშავა ვიწრო მასშტაბის სტანდარტის კორექტირება, რამაც გამოიწვია შესწორება. შესწორებები მოითხოვს, საწარმოებმა მოამზადონ გარკვეული სპეციფიკური განმარტებები (ხარისხობრივი და რაოდენობრივი), რომელიც შეეხება მიწოდების ფინანსურ შეთანხმებებს. შესწორებები ასევე იძლევა მითითებებს მიწოდების ფინანსური შეთანხმებების მახასიათებლებზე.

საიჯარო ვალდებულება უკუიჯარის პირობით გაყიდვისას (ფასს 16-ის შესწორება). 2020 წლის ივნისში ფასს ინტერპრეტაციების საბჭომ გამოცხადების წესრიგის გადანაცვეტილება ცვლადი საიჯარო გადახდებიანი უკუიჯარის პირობით გაყიდვასთან დაკავშირებით. აღნიშნული საკითხი გადაეცა IASB-ს ზოგიერთი ასპექტის სტანდარტში გათვალისწინების მიზნით. 2022 წლის სექტემბერში IASB-იმ გამოცხადდა საბოლოო შესწორება.

შესწორების თანახმად გამყიდველ-მოიჯარეს მოეთხოვება იმგვარად განსაზღვროს „საიჯარო გადახდები“ ან „გადასინჯული საიჯარო გადახდები“, რომ არ აღიაროს გამყიდველი-მოიჯარის მიერ შენარჩუნებულ გამოყენების უფლებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ოდენობის მოგება ან ზარალი.

ვალდებულების კლასიფიკაცია მოკლევადიანად ან გრძელვადიანად (ბასს 1-ში შესწორება) 2020 წლის იანვარში IASB-იმ გამოცხადდა ბასს 1-ის შესწორება ვალდებულების მოკლევადიანად ან გრძელვადიანად კლასიფიკაციასთან დაკავშირებით. ხოლო 2022 წლის ოქტომბერში შემდგომ შესწორება განხორციელდა კოვენანტებიან გრძელვადიან ვალდებულებებთან მიმართებაში. შესწორების თანახმად, საწარმოს მოეთხოვება გააჩნდეს ვალდებულების დაფარვის გადავადების არსებითი უფლება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ სულ მცირე თორმეტი თვით და აღნიშნული უფლება უნდა არსებობდეს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულების კლასიფიკაციაზე გავლენას არ ახდენს ალბათობა იმისა, რომ საწარმო გამოიყენებს უფლებას საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვით გადავადებასთან დაკავშირებით. COVID-19 პანდემიის შედეგად შესწორების ძალაში შესვლის თარიღი გადაინიშნა ერთი წლით და ეფექტურია იმ ფინანსური ანგარიშგებისთვის, რომელთა საანგარიშგებო პერიოდი იწყება 2024 წლის 1 იანვარიდან.

კოვენანტებიანი გრძელვადიანი ვალდებულებები (ბასს 1-ში შესწორება) ბასს 1-ში ვალდებულების კლასიფიკაცია მოკლევადიანად ან გრძელვადიანად შესწორების გამოცემის შემდგომ, 2022 წლის ოქტომბერში IASB-იმ კვლავ შეასწორა ბასს 1. თუ საწარმოს გადავადების უფლება წარმოადგენს კონკრეტული პირობების დაკმაყოფილების საგანს, ასეთი პირობები გავლენას ახდენს მაშინ, როცა უფლება არსებობს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, საწარმომ შეასრულოს პირობები საანგარიშგებო პერიოდის დასრულებამდე ან დასრულებისას და არა მაშინ, როცა საწარმო ვალდებულია დააკმაყოფილოს პირობები საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ. აღნიშნული შესწორება, ასევე, განმარტავს „დაფარვის“ მნიშვნელობას, ვალდებულების მოკლევადიანად ან გრძელვადიანად კლასიფიკაციის მიზნით.

კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით აღნიშნულ ცვლილებებს არ ექნება არსებითი გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

გ) სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2025 წლის 1 იანვრიდან

გასაცვლელი სავალუტო კურსის არ არსებობა (შესწორება ბასს 21-ში) 2023 წლის 15 აგვისტოს, IASB-იმ გამოსცა გასაცვლელი კურსის არ არსებობა, რომელიც წარმოადგენს ბასს 21-ის, უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგების, შესწორებას (შესწორებები). შესწორება წარმოიშვა IFRS-ის ინტერპრეტაციის კომიტეტისგან მიღებული წარდგენის შედეგად, რომელიც შეეხება ვალუტის კურსის განსაზღვრას, როდესაც გასაცვლელი კურსის არ არსებობს გრძელ ვადიან პერიოდში. შესწორებამდე, ბასს 21-ი არ მოიცავდა აშკარა მოთხოვნებს გასაცვლელი კურსის განსაზღვრასთან დაკავშირებით, როდესაც ვალუტა არ იცვლება სხვა ვალუტაში, რაც წარმოშობდა პრაქტიკაში აღრიცხვის მრავალფეროვნებას. კომიტეტმა გასცა რეკომენდაცია, რომ IASB-ს შეემუშავებინა ბასს 21-ში ვინრო მასშტაბის შესწორება აღნიშნული საკითხის გადასაწყვეტად. შემდგომი განხილვების შედეგად, 2021 წლის აპრილში IASB-იმ გამოსცა განმარტებითი დრაფტი ბასს 21-თან დაკავშირებულ შესწორებებზე და საბოლოო შესწორება გამოიცა 2023 წლის აგვისტოში. შესწორება წარმოადგენს მოთხოვნას, შეფასდეს როდის იცვლება ვალუტა სხვა ვალუტაში და როდის არა. შესწორება საწარმოს სთხოვს განსაზღვროს სპოტ სავალუტო კური, როდესაც საწარმო დაასკვნის რომ ვალუტა სხვა ვალუტაში არ იცვლება.

სხვა

კომპანიის ხელმძღვანელობას არ გააჩნია მოლოდინი, რომ ბასსკ-ის მიერ გამოშვებული სხვა რომელიმე სტანდარტს, რომელიც ჯერ არ არის ძალაში შესული, ექნება არსებითი გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

არის ძალაში შესული, ექნება არსებითი გავლენა მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

სს მრეწველკინიგზა

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო წლისთვის

(ქართულ ლარში)

3. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური აქტივები

კომპანია განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას. კომპანია არ ფლობს ფინანსურ აქტივებს რომლებიც დაკლასიფიცირებულია რეალური ღირებულებით შეფასებული სხვა სრულ შემოსავალში ან რეალური ღირებულებით შეფასებული მოგება-ზარალში ასახვით.

ამორტიზებული ღირებულება

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ის აკმაყოფილებს შემდეგ ორ გარემოებას და არ განეკუთვნება მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახულ აქტივებს:

- კომპანია აქტივს ფლობს ბიზნეს-მოდელით, რომლის მიზანსაც წარმოადგენს აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც ერთპიროვნულად წარმოადგენს ძირი თანხის და პროცენტის გადახდას ძირი თანხის დარჩენილ ნაწილზე.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, კომპანიის ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები (მაგ. მოთხოვნები) ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

კომპანია ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების გაუფასურებისთვის იყენებს გამარტივებულ მიდგომას. აღნიშნული ყება ისეთ ხელშეკრულებს, რომელთა ხანგრძლივობა ერთი წელი, ან ერთ წელზე ნაკლებია. ერთ-ერთი ამგვარი გამარტივებული მიდგომის მაგალითია მოთხოვნისთვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლა ანარიცხების (რეზერვების) მატრიცის გამოყენებით. კომპანია იყენებს საკრედიტო ზარალის წარსულ მონაცემებს მოთხოვნისთვის 12-თვიანი საკრედიტო ზარალის, ან ფინანსური აქტივების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, შესაბამისად.

ამორტიზებადი ღირებულებით დაკლასიფიცირებული ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებსა და ფულს და ფულის ეკვივალენტებს. ფული და ფულის ეკვივალენტები არის ადვილად გაცვლადი წინასწარ ცნობილ ნაღდი ფულის ოდენობაზე 3 თვემდე დაფარვის ვადით და მისი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის ან იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (ii) კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები

კომპანია განსაზღვრავს მისი ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას. კომპანია არ ფლობს მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური ვალდებულებებს

სხვა ფინანსური ვალდებულებები

„სხვა ფინანსური ვალდებულებები“, თავდაპირველად აისახება რეალური ღირებულებით გარიგებასთან დაკავშირებული ხარჯების გამოკლებით. „სხვა ფინანსური ვალდებულებები“ შესაბამისად, ამორტიზებული ღირებულებით აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით საპროცენტო ხარჯის აღიარების პარალელურად ეფექტური მოგების საფუძველზე.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

სს მრეწველკინიგზა

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო წლისთვის

(ქართულ ლარში)

3. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სადარიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ურთიერთგადახურვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ერთმანეთში გადაიხურება და ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგება ნეტო თანხა, მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს შესაბამისი იურიდიული უფლება და სურვილი აღნიშნული არსებითი თანხების ურთიერთგადახურვისთვის.

რეალური ღირებულებით შეფასება

კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ზოგიერთი აქტივისა და ვალდებულებისთვის მოითხოვება რეალური ღირებულებით შეფასება და განმარტება. ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულებით შეფასებისათვის კომპანია იყენებს ხელმისაწვდომ საბაზრო მონაცემებს. რეალური ღირებულების შეფასებას კომპანია ახდენს შემდეგი ინფორმაციის საფუძველზე:

დონე 1: აქტიურ ბაზარზე იდენტური ერთეულის კოტირებული ფასების გამოყენებით (არაკორექტირებული).

დონე 2: თუ ასეთი ფასი არ არსებობს, სხვა პირდაპირ ან არაპირდაპირი ემპერიული მონაცემების მიხედვით, როგორცაა ისეთი ბაზრის კოტირებული ფასი, რომელიც არ არის აქტიური იმ იდენტური ერთეულისათვის, რომელსაც სხვა მხარე ფლობს, როგორც აქტივს.

დონე 3: არასაბაზრო მონაცემების საფუძველზე. თუ პირველ და მეორე დონეებში აღწერილი ემპერიული ფასები არ არსებობს, მაშინ ხდება შეფასების სხვა მეთოდების გამოყენება.

რეალური ღირებულების კლასიფიკაცია დონეებდ დამოკიდებულია გამოყენებულ ინფორმაციაზე და რეალური ღირებულების განგარიშებაში მის მნიშვნელობაზე. დონეებს შორის გადატანა აისახება იმ პერიოდში, როდესაც ადგილი აქვს ასეთ მოვლენას.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები, წარმოადგენს აქტივთა ჯგუფს, რომლის კონვერტირებაც შესაძლებელია წინასწარ განსაზღვრული ღირებულებით და უმნიშვნელო რისკის მატარებელია ღირებულების ცვლილებების თვალსაზრისით. ფული და ფულადი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე და მოთხოვნამდე საბანკო დეპოზიტებს 3 თვემდე დაფარვის ვადით. ფულადი სახსრები, რომელთა გამოყენება შემლუღულია 3 თვეზე მეტი ვადის განმავლობაში, გამოირიცხება აღნიშნული აქტივების ჯგუფიდან.

ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითადი საშუალებებისთვის აღრიცხვისთვის იყენებს გადაფასების მოდელს. თავდაპირველი თვითღირებულებით აღიარების შემდეგ აისახება გადაფასებული ღირებულებით, რაც წარმოადგენს მათ სამართლიან ღირებულებას გადაფასების თარიღისათვის მიწის ამ თარიღისათვის დაგროვილი აკუმულირებული ცვეთა.

გადაფასების ნებისმიერი მეტობა აისახება სხვა სრულ შემოსავალში ჩართულ ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც წინა პერიოდში კონკრეტული ძირითადი საშუალების გადაფასების დეფიციტი აისახა მოგება-ზარალში და ხდება მისი კომპენსირება, ამ შემთხვევაში გადაფასების ზრდა აისახება მოგება-ზარალში მხოლოდ წინა პერიოდის კომპენსირების მოცულობით. ყველა სახის გადაფასების დეფიციტი აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გადაფასების დეფიციტი პირდაპირ ქვითავს იმავე აქტივზე წინა პერიოდში აღიარებულ გადაფასების რეზერვს და გამოიქვითება ძირითადი საშუალების გადაფასების რეზერვიდან იმ ზღვრული ოდენობით რა ოდენობითაც არის გადაფასების რეზერვი შექმნილი. წინა პერიოდის გადაფასების რეზერვის არასაკმარისი ოდენობით არსებობის შემთხვევაში სხვაობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
შენობა-ნაგებობები	35
მანქანა-დანადგარები	4
სატრანსპორტო საშუალებები	7
ოფისის აღჭურვილობა	5

სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი მიმოიხილება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე.

სს მრეწველკინიგზა

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო წლისთვის

(ქართულ ლარში)

3. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის ქონება, რომელიც გამოიყენება საიჯარო შემოსავლების მისაღებად ან კაპიტალის გრძელვადიანი ზრდისთვის ან ორივე მიზნით, გარდა ისეთი მიზნებისათვის როგორცაა: გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში ან საქონლის საწარმოებლად ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის. კომპანია საინვესტიციო ქონების თავდაპირველ აღიარებას ახდენს თვითღირებულებით, შემდეგ კი მის შეფასებას საბაზრო ფასების ცვლილების შესაბამისად ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

საინვესტიციო ქონების საბაზრო ფასი განისაზღვრება შესაბამისი ცოდნისა და კვალიფიკაციის მქონე დამოუკიდებელი შემფასებლების დასკვნის შესაბამისად, რომლებსაც აქვთ მსგავსი აქტივების და მსგავს ლოკაციებზე შეფასების გამოცდილება.

საინვესტიციო ქონების გადაფასებიდან მიღებული მოგება/ზარალი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ცალკე კატეგორიად.

იმ შემთხვევაში, თუ საინვესტიციო ქონება ხდება მესაკუთრის მიერ დაკავებული ქონება, ხდება მისი რეკლასიფიკაცია ძირითად საშუალებებში და რეკლასიფიკაციის თარიღისთვის არსებული საბალანსო ღირებულება ხდება მისი დასაშვები ღირებულება სააღრიცხვო მიზნებისთვის.

შემდგომი დანახარჯები კაპიტალიზდება აქტივის საბალანსო ღირებულებაზე, თუ მომავალში მოსალოდნელია დანახარჯებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოდინება და დანახარჯების საიმედოდ შეფასება შესაძლებელია. სხვა დანახარჯები აღიარდება პერიოდის ხარჯებად, მათი განვითარების მომენტში.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს ყველა შეძენის ხარჯსა და ხარჯებს რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირების, საბაჟო და სხვა პირდაპირი ხარჯები. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით.

შემოსავლის აღიარება ფასს 15-ის მოთხოვნების შესაბამისად

შესასრულებელი ვალდებულებები და შემოსავლის აღიარების პერიოდი

მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებების წარმოქმნილი შესასრულებელი ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგ ჯგუფებად:

- შემოსავალი სარკინიგზო-საღიანდაგო მომსახურებიდან
- შემოსავალი ფართის გაქირავებიდან
- შემოსავალი ჯარის რეალიზაციიდან

კომპანია შემოსავალს აღიარებს დროთა განმავლობაში, რადგან მომხმარებელი იღებს სარგებელს, კომპანიის მხრიდან შესასრულებელი ვალდებულების შესრულებისთანავე, გარდა ჯარის რეალიზაციისა, რომელიც აღიარდება დროის გარკვეულ მომენტში, გამომდინარე იქიდან, რომ მომხმარებელს კონტროლი გადაეცემა კომპანიის საწყობიდან ჯარის გატანის მომენტში.

მომხმარებელთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში კომპანია წარმოადგენს მარწმუნებელს.

მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებისთვის მომსახურების გაწევასა და ანაზღაურებას შორის პერიოდი არ აჭარბებს ერთ თვეს. შედეგად არ ხდება გარიგების ფასის კორექტირება ფულის დროითი ღირებულებიდან გამომდინარე.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანიას არ ჰქონია არც სახელშეკრულებო აქტივი და არც სახელშეკრულებო ვალდებულება.

სს მრეწველკინიგზა

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო წლისთვის

(ქართულ ლარში)

3. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სადარიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

გარიგების ფასის განსაზღვრა

კომპანიის შემოსავალი ეფუძნება ხელშეკრულებით განსაზღვრულ ფიქსირებულ თანხებს. მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად მომხმარებლებისგან ანგარიშსწორების მიღება ხორციელდება ძირითადად 30-45 დღის ვადაში მომსახურების დასრულებიდან ან პროდუქციის მიწოდებიდან.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები განეწესთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი, ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

საოპერაციო იჯარა

იჯარა არის საოპერაციო, თუ აქტივის ფლობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი რჩება მეიჯარეს. საოპერაციო იჯარის შემთხვევაში, საიჯარო გადასახდელები (მეიჯარისგან მისაღები თანხებით შემცირებული) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, იჯარის მთელი პერიოდის განმავლობაში პროპორციულად.

ხელფასები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

დაბეგვრა

მოგების გადასახადის ესტონური მოდელის მთავარი არსი მდგომარეობს იმაში, რომ გადაავადოს მოგების გადასახადის გადახდის დრო წმინდა მოგების განაწილებამდე. მოგების გადასახადი განაკვეთი არის 15% (ტექნიკურად 15%/85% გამოყენებული იქნება დაბეგვრის ობიექტად). მოგების გადასახადის დარიცხვა ხდება ყოველთვიურად არაუგვიანეს მომდევნო თვის 15 რიცხვამდე.

მოგების გადასახადით დასაბეგრი ოპერაციებია:

- გადახდილი დივიდენდი
- სხვაობა საკონტრაქტო ფასსა და საბაზრო ფასს შორის
- ხარჯები, რომლებიც არაა დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- გადახდები, რომლებიც არაა დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- საჩუქრები და უფასო მიწოდება
- წარმომადგენლობითი ხარჯი, რომელიც აღემატება ლიმიტს

საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას.

სს მრეწველკინიგზა

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო წლისთვის

(ქართულ ლარში)

3. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სადარიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

დივიდენდები

დივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოშობილია მათი გადახდის იურიდიული მოვალეობა. შუალედური და საბოლოო დივიდენდების დამტკიცება ხდება, აქციონერთა საერთო კრებაზე.

უცხოური ვალუტის კონვერტირება

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისთვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლით კურსით ბალანსის შედგენის დღისთვის. მოგება და ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისას და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.

2023 და 2022 წლების 31 დეკემბერის მდგომარეობით, უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო
2023 წლის 31 დეკემბრისათვის	2.6894	2.9753
2022 წლის 31 დეკემბრისათვის	2.7020	2.8844

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები ანგარიშგების გამოქვეყნებამდე, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მსგავსი შეფასებები და დაშვებები მუდმივად მუშავდება ისტორიულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, მათ შორის ისეთი მომავალი მოვლენების გათვალისწინებით, რომელიც მოსალოდნელია გონივრულ ფარგლებში. მომავალში მიღებული ფაქტობრივი შედეგი შესაძლოა განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებები ცვდება სასარგებლო მომსახურების ვადის მანძილზე. სასარგებლო მომსახურების ვადა ეფუძნება მენეჯმენტის შეფასებებს იმ პერიოდთან დაკავშირებით, რომლის განმავლობაშიც აქტივი გამოიმუშავებს ფულად ნაკადებს. აღნიშნული დაშვებები გადაიხედება პერიოდულად. შეფასებაში ცვლილებებმა შეიძლება გამოიწვიოს საბალანსო ღირებულების და კონკრეტულ პერიოდში სრული შემოსავლის ანგარიშგებაში დარიცხული ცვეთის თანხის არსებითი ვარიაცია.

სს მრეწვერკინიგზა

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო წლისთვის

(ქართულ ლარში)

5. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	შენობა-ნაგებობები	მანქანა-დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
2021 წლის 31 დეკემბრისთვის	1,504,058	11,374	15,264	25,399	70,280	1,626,375
შემოსვლა	93,311	-	1,097	11,303	-	105,711
აფასება	560,715	-	-	-	-	560,715
გასვლა	(199,294)	-	-	(14,271)	-	(213,565)
ჩამოფასება	(306,647)	-	-	-	-	(306,647)
2022 წლის 31 დეკემბრისთვის	1,652,143	11,374	16,361	22,431	70,280	1,772,589
შემოსვლა	198,670	-	-	-	-	198,670
გასვლა	(4,621)	-	-	-	-	(4,621)
ჩამოფასება	(116)	-	-	-	-	(116)
2023 წლის 31 დეკემბრისთვის	1,846,076	11,374	16,361	22,431	70,280	1,966,522
დაგროვილი ცვეთა						
2021 წლის 31 დეკემბრისთვის	(153,100)	(9,522)	(12,867)	(10,998)	(34,053)	(220,540)
წლის ცვეთა	(45,348)	-	(816)	(5,080)	(2,321)	(53,565)
აფასების შედეგად გაუქმებული დაგროვილი ცვეთა	198,448	-	-	14,271	-	212,719
2022 წლის 31 დეკემბრისთვის	-	(9,522)	(13,683)	(1,807)	(36,374)	(61,386)
წლის ცვეთა	(55,181)	-	(896)	(4,543)	(2,201)	(62,821)
ჩამოწერილი ძირითადი საშუალებების ცვეთა	116	-	-	-	-	116
2023 წლის 31 დეკემბრისთვის	(55,065)	(9,522)	(14,579)	(6,350)	(38,575)	(124,091)
ნეტო საბალანსო ღირებულება						
2022 წლის 31 დეკემბრისთვის	1,652,143	1,852	2,678	20,624	33,906	1,711,203
2023 წლის 31 დეკემბრისთვის	1,791,011	1,852	1,782	16,081	31,705	1,842,431

კომპანია ფლობს სარკინიგზო ინფრასტრუქტურას, რომლითაც ახდენს სალიანდაგო გადაზიდვის მომსახურებას.

2022 წელს კომპანიამ გააკეთა ძირითადი საშუალებების შეფასება, რის შედეგადაც ძირითადი საშუალებები აფასდა 560,715 ლარით. აღნიშნული თანხა წარდგენილია სხვა სრულ შემოსავალში.

სს მრეწვერკინიგზა

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო წლისთვის

(ქართულ ლარში)

6. საინვესტიციო ქონება

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
მიწა	9,856,018	9,856,018
სულ საინვესტიციო ქონება	9,856,018	9,856,018

კომპანია ფლობს არასასოფლო მიწის ნაკვეთებს, რომელთა სამომავლო დანიშნულება ჯერ არ არის განსაზღვრული. შესაბამისად, აღნიშნული მიწის ნაკვეთები დაკლასიფიცირებულია როგორც საინვესტიციო ქონება.

2023 წელს კომპანიამ მოიგო სასამართლო დავები. აღნიშნულ დავებში გამარჯვებით კომპანიას მფლობელობაში გადაეცა მიწები ლილოს ტერიტორიაზე. აღნიშნული მიწები კომპანიას არ შეუფასებია და არ უღიარებია ფინანსურ ანგარიშგებაში 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

დასაკუთრებული მიწების ჩამონათვალი:

საკადასტრო კოდი	ფართობი	მისამართი
01.19.21.002.153	34,420 კვ.მ	ქალაქი თბილისი კაიროს ქუჩა N36.
01.19.26.004.035	6,448 კვ.მ	ქალაქი თბილისი, ლილოს სამრეწველო ზონაში მშენებლობის სამინისტროს მიწების საიზოლაციო საწარმოს ტერიტორია.
01.19.26.004.032	10,705 კვ.მ	ქალაქი თბილისი, ლილოს სამრეწველო ზონაში მშენებლობის სამინისტროს N1 სახლმშენებელი კომბინატის ტერიტორია.

7. მარაგები

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ნედლეული და მასალები	31,686	42,392
სანეავი	133	45
სულ მარაგები	31,819	42,437

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო მოთხოვნები	49,583	40,382
	49,583	40,382
არაფინანსური აქტივები		
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	-	812
სხვა	1620	1,621
	1620	2,433
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	51,203	42,815

9. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ფული ბანკში მიმდინარე ანგარიშებზე ლარში	694,148	700,164
ფული ბანკში მიმდინარე ანგარიშებზე სხვა ვალუტაში	41,844	42,039
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	735,992	742,203

სს მრეწვერკინიგზა

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო წლისთვის

(ქართულ ლარში)

10. თანამშრომელთა ანაზღაურება

	2023	2022
ადმინისტრაცია	(60,435)	(65,504)
სამეთვალყურეო საბჭო	(36,548)	(38,750)
სხვა თანამშრომლები	(34,575)	(26,572)
სულ თანამშრომელთა ანაზღაურება	(131,558)	(130,826)

11. გახარჯული ნედლეული და მასალები

	2023	2022
რეალიზებული ჯარტის თვითღირებულება	-	-
სარემონტო სამუშაოები	(28,729)	(22,231)
სხვა	(116)	(618)
გახარჯული ნედლეული და მასალები	(28,845)	(22,849)

12. სხვა ადმინისტრაციული ხარჯები

	2023	2022
ქონების გადასახადის ხარჯი	(35,834)	(24,608)
კომუნალური ხარჯი	(19,190)	(18,384)
საკონსულტაციო და იურიდიული ხარჯები	(7,233)	(12,197)
საიტარო ხარჯი	(4,163)	(3,600)
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	(3,600)	(1,794)
სხვა	(5,913)	(4,171)
სულ სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	(75,933)	(64,754)

13. პირობითი აქტივები და პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები და პირობითი აქტივები

ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას, კომპანია წარმოადგენს საჩივრებისა და საკანონმდებლო ქმედებების სუბიექტს. კომპანია 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ (ფინანსური ანგარიშგების გამოშვებამდე) არ ყოფილა მოპასუხე რაიმე სასამართლო დავაზე.

14. ფინანსური ინსტრუმენტები – რისკების მართვა

სხვა ბიზნესების მსგავსად, კომპანია ღვება სხვადასხვა რისკის წინაშე ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. ეს შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს რომ მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად. დამატებითი ციფრობრივი მონაცემები აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებით წარმოდგენილია მოცემული ფინანსური ანგარიშგების სხვადასხვა ნაწილში.

სს მრეწველკინიგზა

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო წლისთვის

(ქართულ ლარში)

14. ფინანსური ინსტრუმენტები – რისკების მართვა (გაგრძელება)

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის.

საქმიანობის პროცესში კომპანია დგას შემდეგი ფინანსური რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი:
 - სავალუტო რისკი
 -

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების დაუფარავლობის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით, განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო შემდეგი:

ფინანსური აქტივები	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
სავაჭრო მოთხოვნები	49,583	40,382
ფული და ფულის ეკვივალენტები	735,992	742,203
სულ ფინანსური აქტივები	785,575	782,585

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის სავაჭრო მოთხოვნებია არც ვადაგადაცილებულია და არც გაუფასურებული.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს სესხების გასტუმრება და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის კომპანია ახორციელებს სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს.

კომპანიის ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების ვადიანობა არ აღემატება სამ თვეს.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად.

საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი).

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი განსაზღვრულია როგორც რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო.

კომპანიის აქტივებისა და ვალდებულებების არსებითი ნაწილი გამოსახულია ლარში, შესაბამისად სავალუტო კურსის ცვალებადობას არ აქვს მნიშვნელოვანი გავლენა მის ფინანსურ მდგომარეობაზე. აშშ დოლარში გამოსახული ფულისა და ფულის ეკვივალენტების ნაშთები იხილეთ მე-9 შენიშვნაში.

სს მრეწველკინიგზა

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო წლისთვის

(ქართულ ლარში)

15. კაპიტალის მართვა

კომპანიის მიზნები კაპიტალის მართვისას შემდეგში მდგომარეობს:

- მოახდინოს ფუნქციონირებადობის უზრუნველყოფა, და
- ჰქონდეს ადეკვატური უკუგება აქციონერებისთვის.

კომპანიას საანგარიშგებო პერიოდში არ აქვს სასესხო ვალდებულებები. იგი ფინანსდება მთლიანად საკუთარი სახსრებიდან და საოპერაციო საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავლებიდან, ამდენად არ არსებობს რისკი იმისა, რომ კაპიტალის მართვას საფრთხე შეექმნას გარე პირებისადმი ვალდებულებების გამო.

16. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ თანახმად, დაკავშირებულ მხარეებს შეიძლება წარმოადგენდეს:

- ა) მხარე პირდაპირ ან ერთი ან რამდენიმე შუალედური რგოლის საშუალებით არაპირდაპირ აკონტროლებს კომპანიას, კონტროლდება კომპანიის მიერ ან იმყოფება ერთობლივი კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავე და შვილობილ კომპანიებს) კომპანიაში ისეთი ოდენობის წილის მფლობელია რომ შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოპოვება მასზე.
- ბ) მხარე არის კომპანიის ან მისი მფლობელის უმაღლესი მმართველი პირი;
- გ) მხარე არის (ა) ან (ბ) პუნქტით გათვალისწინებული პიროვნების ოჯახის წევრი;
- დ) მხარე არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს (ბ) და (გ) პუნქტში გათვალისწინებულ რომელიმე პირს ან, რომელშიც მნიშვნელოვანი გავლენის უფლებით პირდაპირ ან არაპირდაპირ სარგებლობენ ეს პირები.

როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი შინაარსი.

კომპანიასა და დაკავშირებულ მხარეებს შორის არსებული ოპერაციები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
უმაღლესი ხელმძღვანელობის ანაზღაურება	(54,567)	(61,212)

17. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ აღდგლი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლის წარდგენა უნდა მოხდეს ფინანსურ ანგარიშგებაში